



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება №70

2014 წლის 26 სექტემბერი

#### ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვის განხორციელება, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2014 წლის 27 თებერვალს გაფორმებული N54 სახელმწიფო შეყიდვების შესახებ ხელშეკრულების (ტენდერი SPA - 14004595) სახელშეკრულებლო ღირებულება (56000 ლარი) უკვე გახარჯულია და ხელახალი ტენდერის გამოცხადება კანონმდებლობიდან გამომდინარე მოითხოვს პროცედურული ნორმებით გათვალისწინებული ვადების დაცვას, დადგა საშიშროება იმისა, რომ ბარისახოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ არხოტში არსებული ჰესის შესაკეთებლად, სასწრაფოდ გადასატანი სათადარიგო ნაწილები ადგილზე ვერ იქნას მიტანილი კლიმატური პირობების გაუარესებამდე, რაც ზამთრის პერიოდში მოსახლეობის ელექტრო ენერჯის გარეშე დარჩენას გამოიწვევს.

გამომდინარე აღნიშნულიდან შექმნილ მდგომარეობას მუნიციპალიტეტის გამგეობა ავასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას, რათა აღნიშნული შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებს, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის და „საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა, რათა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არხოტში ჰესის შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილების გადასატანად, საჰაერო ტრასნპორტით მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი